დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

განკარგულება

N 56 08
06/09/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,RMG gold-''ისათვის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს კანონის ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის'' 43-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ (ბრძანება №1955, 04.09.2019) შპს RMG gold-თან, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ დმანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დანართი №1-ში განსაზღვრული დავალების შესაბამისად (თან ერთვის).
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დმანისის მუნიციპალიტეტის
მერი

ქ. დმანისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1955

04/09/2019

1955-07-4-201909041004

დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ. დიდ დმანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ.82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 47-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს II თავის, შპს „RMG gold“-ის 30.07.2019 N26483 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ინიცირებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ. დიდ დმანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ.82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების საკითხი დანართი N1-ში განსაზღვრული დავალების შესაბამისად.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება შეთანხმების მიზნით გადაეგზავნოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

გიორგი ტატუაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ დმანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.82.12.45.380) გდგ- ს ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილების დავალება

მისამართი: დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი დმანისის მიმდებარე ტერიტორია
მიწის ნაკვეთის ს.კ. 82.12.45.380
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მიწის ნაკვეთის ფართობი: 19162 კვ.მ.
მესაკუთრე: სახელმწიფო, მეიჯარე შპს „RMG gold"

დავალება:

ა) გეგმარებითი ერთეულის კვლევა;
ბ) გეგმარებითი ერთეული;
გ) განვითაფრების ხედვა;
დ) განვითარების სტრატეგია;
ე) სიცოცხლისუნარიანობის შეფასება (ვითვალისწინებთ, რომ რეალურად ფუნქიონირებს);
ვ) გეგმის კონცეფციის/პროექტის შემადგენლობა და მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი;
ზ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების მომზადება (უკვე არსებული სამსხვრევი კომპლექსის გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარმოდგენა და ამ დროისათვის გატარებული ღონისძიებების წარმოდგენა, ასევე დამატებით ამ კუთხით სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები).

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების საფუძველია:

- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
- სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით);
- ქალაქმშენებლობითი სფეროსთვის აუცილებელი და გასათვალისწინებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები, კონცეპტუალური და კვლევითი ხასიათის დოკუმენტაცია, ანალოგიური გეგმარებითი სამუშაოების გამოცდილება.